UNIVERSITY EDUCATION AND NATIONAL POLITICS IN SAMTSKHE-JAVAKHETI

საუნივერსიტეტო განათლება და ეროვნული პოლიტიკა სამცხე-ჯავახეთში

Merab Beridze
Doctor of philological sciences,
Professor Samtskhe-Javakheti State University
Akhaltsikhe, Georgia.
ORCID ID: 0000-0002-9965-0139
(+995)599 06 33 66; merab.beridzee@gmail.com

Abstract

More than thirty years have passed since South Georgia, Akhaltsikhe, Akhalkalaki has been living with university life . From the 70s of the 20th centuries, Tbilisi State University and its young scientists headed towards the south. Even the most long-distanced village was penetrated by young energy.

The capital rediscovered Meskheti, which has always been a symbol of patriotism and national identity, the origins of Georgian culture.

In 1990, Akhaltsikhe, as a branch of Iv. Tbilisi State University was established. Along with it, by one order, eight educational units were established in different parts of Georgia.

Only Akhaltsikhe has withstood the test of history, which has survived to this day as the State University of Samtskhe-Javakheti. It is located in two geographical area - Akhaltsikhe and Akhalkalaki and it continues the ancient educational traditions that accompanied with Meskheti throughout history.

The university was established as a regional educational institution and it has the ambition to create the future of Samtskhe-Javakheti together with the regional administration. New jobs appeared and this was connected with university establishment. This process continues.

Non-Georgian graduate students study together with Georgians at the university. Armenian youths go through a one-year state program, after which it is no longer a problem for them to study in the state language and get a relevant specialty. That is why Samtskhe-Javakheti State University has a special importance in the process of learning the state language and integration of national minorities with the state. As a result of all this, the state language performs its function in non-Georgian-speaking administrative institutions, where university graduates have already employed in regional management bodies.

The university contributed to the development of many fields that were critical in the 90s of the 20th centuries, therefore the development of the higher institution, the creation of new specialties and directions is related to the requirements of the region. The role of the university in the development of various fields of art, literature and publishing activities is also important in Meskheti .

Key words: university, national policy, regional university, Samtskhe-Javakheti, Meskheti.

მერაბ ბერიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალციხე, საქართველო.
ORCID ID: 0000-0002-9965=0139
(+995)599 06 33 66; merab.beridzee@gmail.com

აბსტრაქტი

ოცდაათ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საუნივერსიტეტო ცხოვრებით ცხოვრობს სამხრეთ საქართველო, ახალციხე, ახალქალაქი. მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, მისმა ახალგაზრდა მეცნიერებმა კურსი სამხრეთისაკენ აიღეს. ყველაზე შორეულ სოფელშიც კი შეაღწია ახალგაზრდულმა ენერგიამ. დედაქალაქმა ხელახლა აღმოაჩინა მესხეთი, რომელიც ყოველთვის პატრიოტიზმისა და ეროვნული თვითმყოფადობის, ქართული კულტურის სათავეების სიმბოლო იყო.

1990 წელს გაიხსნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი. მასთან ერთად, ერთი ბრძანებით, შეიქმნა რვა საგანმანათლებლო დანაყოფი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ისტორიის გამოცდას გაუძლო მხოლოდ ახალციხემ, რომელიც დღევანდლამდე მოვიდა, როგორც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იგი მდებარეობს ორ გეოგრაფიულ პუნქტში - ახალციხესა და ახალქალაქში და აგრძელებს იმ უძველეს საგანმანათლებლო ტრადიციებს, რომელიც თან ახლდა მესხეთს მთელი ისტორიის მანძილზე. უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა რეგიონულ საგანმანათლებლო დაწესებულებად და აქვს ამბიცია, რეგიონის ადმინისტრაციასთან ერთად შექმნას სამცხე-ჯავახეთის მომავალი. მის ჩამოყალიბებას პირველ რიგში მოჰყვა

ახალი სამუშო ადგილების შექმნა და ეს პროცესი გრძელდება. უნივერსიტეტში ქართველებთან ერთად სწავლობენ არაქართულსკო ლადამთავრებული სტუდენტები. სომეხი ახალგაზრდები გადიან ერთწლიან სახელმწიფო პროგრამას, რის შემდეგაც მათთვის პრობლემა აღარ არის სახელმწიფო ენაზე სწავლა და შესაბამისი სპეციალობის მიღება. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს სახელმწიფო ენის შესწავლისა და ეროვნულ უმცირესობათა სახელმწიფოსთან ინტეგრაციის პროცესში. ამ ყველაფერს შედეგად მოჰყვა ის, რომ სახელმწიფო ენა თავის ფუნქციას ასრულებს არაქართულენოვან ადმინისტრაციულ დაწესებულებებში, რომელშიც უკვე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები მოვიდნენ რეგიონული მართვის ორგანოებში.

უნივერსიტეტმა ხელი შეუწყო ბევრი ისეთი დარგის განვითარებას, რომელიც დეფიციტური იყო მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, ამიტომაც უმაღლესი დაწესებულების განვითარება, ახალი სპეციალობებისა და მიმართულებების შექმნა რეგიონის მოთხოვნებთან არის დაკავშირებული. დიდია ასევე უნივერსიტეტის როლი მესხეთში ხელოვნების სხვადასხვა

დარგის, ლიტერატურის და საგამომცემლო საქმიანობის განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: უნივერსიტეტი, ეროვნული პოლიტიკა, რეგიონული უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთი, მესხეთი.

შესავალი

ტაო-კლარჯეთის საგანმანათლებლო სკოლები, ადრე შუასაუკუნეებიდან მოყოლებული, ტონს აძლევდა ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებას, რასაც მოჰყვა რუსთველი, საქართველოს ისტორიის ოქროს ხანა... დიდ აღმავლობას დიდი დაცემა ახლავს. ახალციხეში წიგნები მხოლოდ მე- 20 საუკუნის დასაწყისამდე იბეჭდებოდა. კომუნისტურმა პერიოდმა საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებითაც გამორჩეულ სიტუაციაში ჩააგდო სამცხე-ჯავახეთი. 1944 წელს მესხეთიდან გაასახლეს მუსლიმი მოსახლეობა, რომელთა უდიდესი ნაწილი ქართული წარმომავლობისა იყო. ეს პროცესი აღმოჩნდა საკმაოდ ხანგრძლივი და დანარჩენი საქართველოდან ეს კუთხე გამოყოფილი იქნა შლანგბაუმით, რომლის გადკვეთაც მხლოდ სპეციალური საშვებით იყო შესაძლებელი. ასეთმა პროცესებმა ჩვენი ქვეყნის ორგანული ნაწილის კიდევ უფრო გაუცხოება გამოიწვია დანარჩენი საქართველოსგან, რაც ყოველთვის დაკავშირებული იყო გარკვეულ ნოსტალგიასთან და რაზეც ყოველთვის ფიქრობდა პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ახალგაზრდობა.

ამ ტრადიციის ფონზე იშვა ეროვნული აღმავლობა მე-20 საუკუნის 70-იან-80-იან წლებში, რასაც შედეგად მოჰყვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის გახსნა 1990 წელს.

საქართველოს ყველა კუთხე თავისებურია, ამა თუ იმ კუთხეში არსებობს საინტერესო შიდა სპეციფიკური საკითხები, რომლის განსაზღვრა და სწორი კვალიფიკაციაა საჭირო, რის შემდეგაც პროგრესი თვალსაჩინოა და თითოეული თავისებურება სასიკეთო სამომავლო ურთიერთობების საფუძველი შეიძლება გახდეს.

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. უნივერსიტეტი ამ შემთხვევაში კულტურათა, ტრადიციათა, ენათა კავშირებს სწავლობს და სახავს მათ სამომავლო თეორიულ თუ პრაქტიკულ პერსპექტივებს. სამცხე-ჯავახეთში სხვა ეროვნებებთან ერთად ორი ძირითადი ერი ცხოვრობს. ქართველებთან ერთად ჩვენს მხარეში არიან სომხებიც, ამიტომ უნივერსიტეტისათვის ყოველთვის აქტუალური იყო ეს საკითხი. ჩვენ გვენდობა არა მხოლოდ ქართული, არამედ სხვა ეროვნებებთან ერთად სომხური მოსახლეობა. საბჭოთა პერიოდში ადგილობრივ, ერთად მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ადამიანთათვის საურთიერთობო ენა იყო რუსული, ამიტომ ხშირად გვერდიგვერდ მცხოვრები ადამიანები გაუცხოებულები იყვნენ ერთმანეთისაგან.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა საუნივერსიტეტო განათლების კლასიკური მოდელის ფონზე, რომელიც შექმნილი იყო მე-20 საუკუნის ტრადიციებით. რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო, თავიდანვე უნივერსიტეტს განვითარების განსხვავებული კონცეფცია აერჩია (შდრ. Trippla, Sinozicb & Smithc, 2015:12), მაგრამ კლასიკურმა

მოდელმა საშუალება მოგვცა, რეგიონის საჭიროებებიდან გამომდინარე და საგანმნათლებლო სისტემის რეფორმების საფუძველზე შეგვექმნა ისეთი „არასაუნივერსიტეტო დარგები“, როგორიცაა ვეტერინარია, აგრონომია და სხვა.

მეთოდი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, რეგიონული განვითარებისა და ეროვნული პოლიტიკის ურთიერთკავშირის შესასწავლად გამოყენებულია ანალიტიკური მეთოდი; დოკუმენტების, წარმატებული და წარუმატებელი შემთხვევების, პირადი გამოცდილებისა და დაკვირვების, რეგიონული სისტემის ანალიზი.

გამოყენებულია სხვადასხვა მონაცემის, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების ურთიერთშეჯერებისა და კრიტიკული კვლევის ხერხები.

შედეგები

ჩვენი კურსდამთავრებულები დასაქმებული არიან რეგიონის ყველა უბანზე განათლებაში, საბანკო სისტემაში, ადმინისტრაციაში, ძალოვან სტრუქტურებში და სხვა.

თავისი არსებობის განმავლობაში უნივერსიტეტი დაამთავრა 9000-ზე მეტმა სტუდენტმა. ბაზრის შესწავლა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია და ამიტომ საუნივერსიტეტო ტრადიციული სპეციალობების გვერდით დროის მოთხოვნების შესაბამისად იქმნება ახალი სპეციალობები. დღეს აქტუალური, პოპულარული სპეციალობები ხვალ შეიძლება ნაკლებ მოთხოვნადი იყოს, ამიტომ უნივერსიტეტი, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ცოცხალი ორგანიზმი, მუდმივ ცვალებადობაშია და დროის მაჯისცემას განსაზღვრავს. ცალკე ყურადღების ღირსია პროგრამები სადოქტორო საფეხურზე: ქართული ფილოლოგია, ასტრონომია (ქართულენოვანი, ინგლისურენოვანი), ვეტერინარია, აგრონომია, ეკონომიკა, ინფორმატიკა, საქართველოს ისტორია.

უნივერსიტეტში დღეისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია (როგორც ახალქალაქში, ისე ახალციხეში) სომეხი სტუდენტობა, ისინი სწავლაში არ ჩამორჩებიან ქართველებს. უნივერსიტეტი ზრდის საქართველოს მკვიდრ მოქალაქეებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის პატრიოტები არიან.

ამგვარად, ბევრი უნივერსიტეტისგან განსხვავებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ოფიციალურად ღირებულებებში უწერია ეროვნულობა თავისუფლებასა და ტოლერანტობასთან ერთად. სხვაგვარად წარმოუდგენელია უნივერსიტეტი ახალციხესა და ახალქალაქში. ჩვენი ეროვნული ხაზი გამოიხატება შემდეგში: 32-წლიანი მოღვაწეობის შედეგად სამცხე-ჯავახეთის ახალგაზრდობის დიდი ნაწილი საკუთარ მამულში დარჩა. კურსდამთავრებულებმა დაიკავეს შემდეგი სამსახურებრივი პოზიციები: კომპიუტერული მომსახურება, განათლების სისტემა (პედაგოგობა) არა მხოლოდ სამცხეში, არამედ ჯავახეთშიც. სახელმწიფო ენობრივი

პოლიტიკის ყველაზე სერიოზული შემსრულებლები და გამტარებლები სწორედ ჩვენი კურსდამთავრებულები არიან ახალქალაქსადანინოწმინდა ში. კურსდამთავრებულებმა შეავსეს ძალოვანი სტრუქტურები, რომელიც საკმაოდ მეჩხერად იყო წარმოდგენილი ადგილობრივი კადრებით. უნი- ვერსიტეტის დამსახურებაა, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის პედაგოგთა ასაკი ყველაზე ახალგაზრდულია საქართველოში. ჯავახეთში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია სახელმწიფო ენაზე საუბრობს, რაც წარმოუდგენელი იყო თავის დროზე. არაქართულსკოლადამთავრებულთა კონკურსი ქართული ენის მომზადების პროგრამაზე ყველაზე მაღალია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 90-იანი წლებიდან მო- ყოლებული შექმნილი ურთულესი სიტუაციის მიუხედავად გაიზარდა ახალგაზრდული ოჯახების რიცხვი. რაც შეეხება სპეციალობებს (პროგ- რამებს), რომელიც უნივერსიტეტში დღეისათვის არ არის, უკიდურესად დეფიციტურია რეგიონში (სამშენებლო, საინჟინრო, ენერგეტიკა, სამე- დიცინო და სხვა).

ნებისმიერი სირთულის, განსხვავებული აზრის მიუხედავად, ტრა- დიციად იქცა თურქ მეცნიერებთან ერთობლივი საერთაშორისო სემინარები და სამეცნიერო კონფერენციები ისტორიაში, დიალექტოლოგიაში, ონო- მასტიკაში. ასევე გრძელდება ამავე პრობლემებზე სომხურ სამეცნიერო საზოგადოებასთან ურთიერთობა. ამ ყველაფერმა მოამზადა საფუძველი სადოქტორო პროგრამების განხორციელებისათვის ქართულ ფილოლო- გიაში, საქართველოს ისტორიაში, ეთნოლოგიაში, ასტრონომიაში, ვეტე- რინარიაში, ინფორმატიკაში, აგრონომიასა და ეკონომიკაში. შეიქმნა საუნივერსიტეტო ინტელიგენცია, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებით.

მსჯელობა

დღევანდელი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი სა- მართალმემკვიდრეა ივ. ჯავახიშვილის სახელობისთბილისის სახელმ- წიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალისა. იგი შეიქმნა, როგორც პირველი რეგიონული უნივერსიტეტი საქართველოში. მართალია, მა- ნამდე არსებობდა ცნობილი ინსტიტუტები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ ახალციხის ფილიალი, როგორც თბილისიდან გასული სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულება, სხვა- გვარად აყენებდა რეგიონისა და დედაქალაქის უნივერსიტეტის ურ- თიერთმიმართების საკითხს. რეგიონის პრობლემა მთელი მსოფლიოს მასშტაბით და მისი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისთვის სხვადასხვაგვარია. ბუნებრივია, რომ სხვაგვარად უყურებს დიდი სახელმწიფო რეგიონისა და ცენტრის ურთიერთობას, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში საკითხი დგას დედაქალაქისა და მისგან მოცილებულ საგანმანათლებლო დაწესებულების ურთიერთობისა.

ერთია, როდესაც უნივერსიტეტი შედის რეგიონში, მეორეა, როგორ ღებულობს მას ეს რეგიონი. რა პრობლემები უდგას ქვეყანას ზოგადად, როგორ ზის ამ პრობლემათა სისტემაში რეგიონული პრობლემატიკა და

რა როლი აქვს ამაში საგანმანათლებლო საქმეს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოდ მიგვაჩნია შემდეგი მოსაზრება: თუ განვიხილავთ რეგიონული პარტნიორობის განვითარების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ კვლევებს, დავინახავთ, რომ არ არსებობს უმაღლეს განათლებასა და რეგიონულ მმართველობას შორის პარტნიორობის იდეალური გზა. თუმცა არსებობს გარკვეული ზოგადი პრინციპები წარმატებული ურთიერთობისთვის. ესენია: ლეგიტიმური პარტნიორების იდენტიფიცირება; სხვადასხვა ინსტიტუციური კონტექსტის აღიარება; ურთიერთაღიარება და პატივისცემა; ძირითადი პრობლემატიკის ერთიანი აღქმა ორივე მხარის მიერ საკუთარი ვალდებულების განცდა; ლიდერის როლი და გარკვეული პროგრამის შემუშავება (Thaman, 2008: 13-14).

ცენტრისა და რეგიონის ურთიერთობა მათი ჰარმონიული განვითარებით ფასდება. მართალია, ცენტრი აღიქმება პროგრესის სიმბოლოდ, მაგრამ რეგიონს შეუძლია თანამედროვე მეცნიერული განვითარების საშუალებით კონკურენციაც კი გაუწიოს დედაქალაქს. საუნივერსიტეტო ცხოვრების გამარჯვებისთვის სამცხე-ჯავახეთში პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა დასაქმების საკითხს. სწორედ დასაქმება და საუნივერსიტეტო განათლებასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის შექმნა იყო იმის ნიშანი, რომ უნივერსიტეტი გაიმარჯვებდა სამცხე-ჯავახეთში. თუ პირველ წელს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და დამხმარე საქმიანობაში სულ რამდენიმე ადამიანი მუშაობდა, სამ წელიწადში უკვე ახლადშექმნილი ადგილები ათეულებით იზომებოდა და მალე ასიან ნიშნულსაც გადააბიჯა. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ დღეისათვის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალციხესა და ახალქალაქში მუშაობს ადმინისტრაციის 200-ზე მეტი თანამშრომელი და 80-მდე აკადემიური პერსონალი. ამასთან ერთად თავმოყრილ ახალგაზრდებს სჭირდებათ ცხოვრებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისთვის მრავალი ისეთი საშუალება, რომელიც საცეცებივით ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს. ამ კუთხით რეგიონული უნივერსიტეტების მნიშვნელობის შესახებ არაერთგზის არის ხაზგასმული თანამედროვე მკვლევართა შრომებში. რაც მთავარია, დღევანდელი თეორიული ასპექტები აბსოლუტურად ესადაგება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გავლილ გზას. საგანმანათლებლო და რეგიონული განვითარებისა და ურთიერთკავშირის შესასწავლად პრიორიტეტი ენიჭება სამუშაო ადგილების შექმნას. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ამ პერსპექტივიდან გამომდინარე, რეგიონული განვითარება ეყრდნობა საგანმანათლებლო დაწესებულებისა და რეგიონული აქტორების ურთიერთქმედებასა და თანაშემოქმედებას. სტუდენტები ხდებიან სამუშაო ადგილების ფორმირების ხელშემწყობნი. სტუდენტების განათლება ასევე გავლენას ახდენს რეგიონულ განვითარებაზე შრომის ბაზრისთვის პროფესიონალების მიწოდების გზით. სამუშაო ადგილი შეიძლება ჩამოყალიბდეს უმაღლეს სასწავლებლებსა და ადგილობრივ აქტორებს შორის ურთიერთქმედების შედეგად წარმოქმნილი ქსელებით (Berg & Hope, 2022: 201-202).

ხაზგასასმელია ასევე ახალგაზრდობის ადგილზე დაკავებისა და რეგიონებში შესაბამისი ნიჭის, ინტელექტის შენარჩუნების მნიშვნელობა. ნორვეგიის რეგიონული უნივერსიტეტის მაგალითზე ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ სტუდენტების კვალი რეგიონებში შეიძლება იყოს როგორც დროებითი, ასევე სტაბილური და ხანგრძლივი. ბევრი სტუდენტი რეგიონში რჩება მხოლოდ სასწავლო პერიოდის განმავლობაში, მაგრამ ტენდენცია ნორვეგიაში არის ის, რომ სტუდენტები რჩებიან იმ ტერიტორიაზე, სადაც ისინი განათლებას იღებენ . მიუხედავად ამისა, დროებით მყოფი სტუდენტებიც კი ხელს უწყობენ სამუშაო ადგილის შექმნას იმ ქსელების მეშვეობით, რომელშიც ისინი მონაწილეობენ სწავლის, დასვენებისა და სტაჟირების დროს (R. Bilbokaitė, I. Bilbokaitė-Skiauterienė, 2018: 5-6).

საქართველოსა და ნორვეგიის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეკონომიკური მდგომარეობის დიდი განსხვავების მიუხედავად რეგიონული უნივერსიტეტის წარმატებისა თუ წარუმატებლობის პრინციპები ემთხვევა ერთმანეთს. იმისათვის, რომ დღევანდელი სახე მიეღო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მან ხანგრძლივი და რთული გზა განვლო.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, სად გაიხსნებოდა უმაღლესი სასწავ-ლებელი სამხრეთ საქართველოში. ხელისუფლების მიერ ახალციხის არჩევა ჭკვიანური გადაწყვეტილება იყო. ახალციხეს რეალურად უნდა დაბრუნებოდა მესხეთის ისტორიული ცენტრის ფუნქცია, რაც მე-20 საუ-კუნის ბოლოს მხოლოდ რუსული სამხედრო ყოფნით გამოიხატებოდა. იგი იყო რიგითი რაიონული ცენტრი, რომელშიც რუსული სასაზღვრო ნაწილი იდგა და კეტავდა ქალაქის დანარჩენ ისტორიულ კავშირებს. ტრადიციულად, სამხედროები ფლობდნენ ასევე ახალციხის ციხის ტერიტორიას, როგორც ძალაუფლების პატრონობის სიმბოლოს.

აღმავალი ეროვნული მოძრაობა გარკვეულ იმედებს სახავდა, რომ გაირღვეოდა კარჩაკეტილობა. ჯერ კიდევ 1990 წელს ვწერდით: `რაც უნ-და კურიოზად მოგვეჩვენოს, ახალციხემ თავისი სახე, როლი, როგორც ეკონომიკურმა და სტრატეგიულმა პუნქტმა, დაკარგა მას შემდეგ, რაც შეწყდა ტყვეებით ვაჭრობა და რუსეთის მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა იგი. რევოლუციამდე ჯერ კიდევ არ იყოს ცუდად საქმე, კონტაქტები აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან აქცევდა ახალციხეს ცნობილ ქალაქად. "შლანგბაუმმა" ახალციხე მოსწყვიტა არა მარტო დანარჩენ სამყაროს, არამედ საქართველოსაც კი. დღეს რთული პრობლემების წინაშე დგას ქალაქი, ისტორიული ცენტრი სამხრეთისა. იგი ხელახლა შემოდის მიმოქცევაში (ბერიძე, 2014:7).

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის 1990 წლის 6 თებერვლის #1-2დ გადაწყვეტილება, რომელიც ეხება რესპუბლიკის ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის ახალი სასწავლო დანაყოფების შექმნას და მასზე ხელს აწერს კოლეგიის თავმჯდომარე, მინისტრი გურამ ენუქიძე, გვამცნობს შემდეგს: საქართველოს სსრ მოსახლეობის მიერ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ უმაღლესი განათლების მიღების ორგანიზაციის მიზნით, რესპუბლიკის ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის რექტორატების წინადადებების გათვალისწინებით, კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. 1990 წლის 1 სექტემბრიდან გაიხსნას:

1.1. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის **სახელმწიფო უნივერსიტეტისფაკულტეტი ქ. ახალციხეში** - სპეციალობებით:ქართული ენა და ლიტერატურა /30 კაცი/, ისტორია /30კაცი/, სოციალური და ეკონომიკური დაგეგმვა /სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალიზაციით - 40 კაცი/

1.2. თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის **პედაგოგიური ინსტიტუტის ფაკულტეტი ქ. ბოლნისში** - სპეციალობებით: ქართული ენა და ლიტერატურა /35კაცი/, რუსული ენა და ლიტერატურა /35 კაცი/, ისტორია

/35 კაცი/, დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა /35 კაცი/.

1.3. თბილისის **სამედიცინო ინსტიტუტის ფაკულტეტი ქ. ზუგდიდში.**

1.4. საქართველოს **სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი ახალციხის რაიონის დაბა ვალეში;**

1.5. საქართველოს **ზოოვეტერინარული ინსტიტუტის** სასწავლო-ექსპერიმენტული მეურნეობა ბოგდანოვკის რაიონში /სოფ. გორელოვკა/;

2. დაევალოს საქართველოს ზოოვეტერინალური ინსტიტუტის რექტორს /ამხ. გ. აგლაძე/ უზრუნველყოს ინსტიტუტის სასწავლო-ექსპერიმენტალური მეურნეობის შექმნა დმანისის რაიონში.

3. საქართველოს **ტექნიკური უნივერსიტეტის მარნეულის /კაზრეთის/ ფილიალი;**

4. საქართველოს **სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის** საცდელ საკონსულტაციო პუნქტი **მარნეულის რაიონი".**

ყურადღებამისაქცევია ის ფაქტი, რომ ყველა დანაყოფი უნდა შექმნილიყო მხოლოდ „წარმოებისაგან მოუწყვეტლივ". ფილიალის არსებობის ერთი წლისთავზე ვწერდით: „თუ გვინდა, გავამართლოთ მიზანი, რისთვისაც იხსნება უმაღლესი სასწავლებელი ახალციხეში, აუცილებელია სწავლების დასწრებული ფორმა. განათლების მაშინდელ მინისტრთან საუბრით და ზეპირი შეთანხმებით გადავწყვიტეთ, მძიმე გზას დავდგომოდით - დაგვეწყო არაფრისგან, ჩამოგვეყალიბებინა ახალციხეში შესაბამისი დონის უმაღლესი სასწავლებელი" (ბერიძე, 1991).

გადაწყვეტილების შეუსაბამობა გახლდათ ის, რომ ახალციხეში სხვა დანაყოფებთან ერთად უნდა შექმნილიყო ფაკულტეტი სამი სპეციალობით: **ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, სოციალური და ეკონომიკური დაგეგმარება**. თითოეული მათგანი საუნივერსიტეტო მაშინდელი ტრადიციით ცალკე ფაკულტეტს წარმოადგენდა. საბოლოოდ გადაწყდა, ახალციხეში ჩამოყალიბებულიყო არა ფაკულტეტი, არამედ ფილიალი სამი მიმართულებით, რომელიც მალე სამ ფაკულტეტად იქცა და დაუსწრებელი სწავლების ნაცვლად სწავლების ფორმად აირჩა დასწრებული. ეს იყო ყველაზე სარისკო, მაგრამ სწორი გადაწყვეტილება.

ისტორიამ შემოგვინახა მინისტრის კიდევ ერთი ბრძანება. „ამავე სამინისტროს კოლეგიის #172 ბრძანებით განისაზღვრა ადგილი, სადაც უნდა მოთავსებულიყო უნივერსიტეტის ფილიალი. შეერთდა ახალციხის #101 და #122 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლები და მათ ბაზაზე ჩამოყალიბდა ერთი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, გამოთავისუფლდა საჭირო ფართობი" (ბერიძე, 1991). სიზუსტისათვის წარმოგიდგენთ ზემოთ მოყვანილი ბრძანების ნაწილს:

„ბრძანება #172 13. 04. 1990 წ. ახალციხის #101 და #122 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების გაუქმებისა და მათ ბაზაზე ახალციხის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის შექმნის შესახებ

ახალციხის #101 და # 122 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლები ფუნქციონირებენ ახალციხის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების ბაზაზე. ორივე სასწავლებელი ამზადებს ერთსა და იმავე პროფესიის მუშათა კადრებს. იმის გამო, რომ ახალციხის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს არ ესაჭიროება იმ რაოდენობის მუშათა კადრები, რამდენიც მზადდება ყოველწლიურად ორივე სასწავლებელში მიღებული სპეციალობის მიხედვით, გაძნელებულია კურსდამთავრებულთა განაწილება და დამაგრება.

#122 პროფტექნიკური სასწავლებელი (ერთწლიანი სწავლების ვადით) გახსნილია #101 სასწავლებლის კომპლექსში. მას არ გააჩნია სპეცსაგნებში პროგრამით გათვალისწინებული მეცადინეობების ჩასატარებლად სასწავლო სახელოსნოები, ლაბორატორიები და მანქანების ტექნიკური მომსახურების პუნქტი.

საქართველოს კპ ახალციხის რაიონულ კომიტეტსა და ახალციხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს მიზანშეწონილად მიაჩნია #101 და #122 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის შეერთება და 101 სასწავლებლის სასწავლო კორპუსის ერთ ბლოკში განთავსდეს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი“. ეს გახლავთ ერთგვარი პრეამბულა ბრძანებისა. თავად ბრძანების მე-6 მუხლი კი გვამცნობდა შემდეგს: **„ახალციხის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის სასწავლო კორპუსის ერთ ბლოკში დროებით, იჯარით განთავსდეს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ფილიალი.“**

მომავალი ფილიალის საწავლო კორპუსის ერთ ბლოკში, დროებით, იჯარით, განთავსება ნიშნავდა პრაქტიკულად მოვალეობის მოხდას და ყველაფერი გათვლილი იყო იმაზე, რომ ახლო მომავალში ეს პროექტი დროს ვერ გაუძლებდა.

აქ უპრიანია, ალბათ, ითქვას, რომ იმ რვა საგანმანათლებლო ერთეულიდან, რომელიც განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებაშია და ზოგიერთი ფილიალიდან, რომელიც ამ გადაწყვეტილების შემდეგ შეიქმნა, **მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი შემორჩა ისტორიას.**

ახლადშექმნილ უნივერსიტეტს (ფილიალს) ჰქონდა ამბიცია, აეღო ხელში ახალგაზრდობის განათლების საქმე. ეს ის დროა, როდესაც ჯერ კიდევ ჭარბად არის ახალგაზრდობა, კონკურსია მისაღებ გამოცდებზე. ამბიცია სარისკოა, რადგან თუ არ იქნა დროის შესაბამისი განათლება, თუ არ იქნა შესაბამისი დონე, კრახი გარდაუვალია, თანაც სამცხე-ჯავახეთში. ამასთან ერთად, საუბარია სომეხ ახალგაზრდებზე, რომლებმაც საერთოდ არ იციან ქართული და ისინი მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ, ხოლო ჯავახეთში - 90-95 პროცენტს. ეს კი არის არა მხოლოდ განათლების,

არამედ კულტურის საქმე, ორივე ერი (ქართველი და სომეხი) მიუხედავად იმისა, რომ გვერდიგვერდ, მეზობლად ცხოვრობს, ცხოვრობს ერთმანეთისგან განსხვავებული კულტურით. ამ შემთხვევაში სამცხე-ჯავახეთის მდგომარეობა, მართალია, საერთოა დანარჩენი საქართველოს მდგომარეობასთან, მაგრამ აქვს თავისი სირთულეებიც. ახალგაზრდობის განათლებაზე იმ პერიოდთან დაკავშირებით ნათქვამია: „ჩვენს ქვეყანას კრიზისიდან გამოიყვანს და გადაარჩენს ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განათლება. მაშ ასე - **განათლება ერისა საზოგადოების რეალური გადარჩენის ჭეშმარიტი გზაა“** (მეტრეველი, 1993: 13).

დღევანდელი გადასახედიდან ნათლად ჩანს უკვე განათლების შედეგი ახალციხესა და ახალქალაქში. ეს გამოიხატება ახალგაზრდების ქვეყნისადმი და უნივერსიტეტისადმი, თანამედროვე პროცესებისადმი დამოკიდებულებაშიც და განათლების შედეგად მათს პროფესიონალურ მზაობაშიც.

თსუ ახალციხის ფილიალმა თავიდანვე აიღო მოღვაწეობის პრინციპად რეგიონის პრობლემებზე ფიქრი. 12 წელი დასჭირდა მუშაობას, რომ შექმნილიყო კიდევ ერთი დანაყოფი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა ჯავახეთში, ახალქალაქში. მართლაც, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის **აკადემიკოს როინ მეტრეველის** აქტიური მხარდაჭერითა და დახმარებით, საქართველოს მაშინდელი **პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის** თანადგომით 2002 წელს გაიხსნა კიდევ ერთი ფილიალი.

ახალქალაქში ფილიალის გახსნა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. მაშინდელი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი სიტუაცია ითხოვდა სწორი ნაბიჯების გადადგმას ამ მიმართულებით. ამიტომაც მოჰყვა ამ ბრძანებას პრეზიდენტის პირადი მილოცვა. მოვიყვანთ ამონარიდს: **„იმედი მაქვს, რომ ეს ახლად გახსნილი სასწავლო კერა, მესხეთის ფილიალთან ერთად, განსაკუთრებულ როლს შეასრულებს დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობისა და განმტკიცების საქმეში, რაც კავკასიაში მშვიდობის დამყარების კიდევ ერთი გარანტი გახდება.**

ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენი მეცნიერები არ დაიშურებენ ცოდნასა და ენერგიას, რათა ახალქალაქი იქცეს საუნივერსიტეტო ქალაქად.“

ახალციხის ფილიალი, რომელიც უკვე მესხეთის ფილიალის სახელით არსებობდა, აღარ ზრუნავდა მხოლოდ საკუთარ პერსპექტივაზე, განვითარებაზე. წლების განმავლობაში იყო შემზადებული ჯავახეთში საუნივერსიტეტო ცხოვრებისათვის საფუძველი.

ახალციხესა და ახალქალაქში პირველ რიგში იდგა კადრების პრობლემა. სისტემა, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა, დღესაც მუშაობს. თბილისიდან მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები ჩამოდიან ახალციხეში, ხოლო ახალციხიდან ადიან ახალქალაქში. თანდათან მომზადდა ადგილობრივი კადრები. ურთულესი გზა გამოიარა უნივერსიტეტმა ფილიალობიდან სახელმწიფო უნივერსიტეტამდე. ამის ნათელსაყოფად წარმოვადგენთ სამართალმემკვიდრეობის დინამიკას 1990 წლიდან დღემდე:

1990 წ. თსუ ახალციხის ფილიალი;

2002 წ. თსუ მესხეთის ფილიალი;

2007 წ. ახალციხის ინსტიტუტი;

2009 წ. ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; პარალელურად ყალიბდება ჯავახეთის ფილიალი:

2002 წ. თსუ ჯავახეთის ფილიალი;

2007 წ. ახალქალაქის უმაღლესი დაწესებულება კოლეჯი, რომელიც არსებობდა 2011 წლამდე;

2012 წელს სამთავრობო ბრძანებით ხდება ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და ახალქალაქის კოლეჯის გაერთიანება და ყალიბდება **სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,** რომელიც 2014 წელს სტატუსს იმაღლებს და იქმნება **სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.**

ამგვარად, დღეს უნივერსიტეტი არსებობს ერთმანეთისაგან საკ- მაოდ დაცილებულ (70კმ) გეოგრაფიულ პუნქტებში - ახალციხესა და **ახალქალაქში**. იგი არის თსუ მესხეთისა (ახალციხის) და თსუ ჯავახეთის ფილიალების სამართალმემკვიდრე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საუ- ნივერსიტეტო ცხოვრებისა და განვითარების დინამიკა საქვეყნო საქმისადმი თავდადებული შრომის შედეგია.

1990 წლიდან ჩვენი უნივერსიტეტის მისიას ვხედავდით გიორგი **მერჩულის** სიტყვებში: „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“ (მერჩულე, 1982: 279-280).

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება აღმოჩნდა ჩვენი უნივერსიტეტის იდეური საფუძველი. უნივერსიტეტს მესხეთში უნდა აეღო ისტორიიდან ის უმთავრესი რამ, რაც გამოკვეთა და ჩამოაყალიბა გიორგი მერჩულემ - საქართველო არის ერთიანი და ძლიერი ქვეყანა, რომელსაც კრავს და ადუღებს ეკლესიისა და სახელმწიფოს ენა - ქართული ენა. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი, როდესაც მესხეთში იქმნება უნივერსიტეტი, სწორედ იმ პრობლემების წინაშე დგას, რომელიც დაიძლია მე-8 - მე-10 საუკუნეების საქართველოში. ჯერ კიდევ საქართველოს შემადგენლობაშია სამაჩაბლო და აფხაზეთი. ურთულესი მდგომარეობაა სამცხე-ჯავახეთში. უკვე რამდენჯერმე პირისპირ დადგნენ სომხები და ქართველები და როგორღაც მოხერხდა, რომ არ გაღვივებულიყო ნაპერწკალი. ახლადშექმნილ უნივერსიტეტს ჰქონდა ისტორიული საფუძველი და მიზანი - ქართულ ენას დაბრუნებოდა სახელმწიფო ენის ფუნქცია, რომელიც ჯერ ოსმალეთმა და შემდეგ რუსეთის იმპერიამ ჩრდილში დააყენა.

ეს გზა რომ რთული იქნებოდა, აშკარა იყო, რადგან უნივერსიტეტი დაადგა მშვიდობის გზას, ხოლო გარშემო ავტომატიანი კაცები დარბოდნენ. მაშინ, როდესაც, შორეულადაც კი არ ჩანდა ქართული საზოგადოების კონსოლიდაცია, საზოგადოებისა, რომელიც მრავალ ნაწილად იყო გაყოფილი, უნივერსიტეტს უნდა ეზრუნა ქართულ (სახელმწიფო) და სომხურ (საზოგადოებრივ) კონსოლიდაციაზე, ინტეგრაციაზე.

ამ მიმართულებით გარკვეული წინასწარი თეორიული მომზადების

გარეშე იქმნებდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რადგან მას მხარში ედგა ივ. ჯავახეიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თანამედროვე უნივერსიტეტის იდეა სხვადასხვა ავტორზე დაყრდნობით წარმოდგენილი აქვს პროფესორ **ზურაბ ხონელიძეს**. სამცხე-ჯავახეთში ეროვნული იდეის გარეშე ვერ შეიქმნებოდა თანამედროვე უნივერსიტეტი. არსებულმა გარემოებებმა განაპირობა ზოგიერთი ისეთი რამ, რაც აუცილებლად უნდა იგულისხმებოდეს უნივერსიტეტის იდეაში, ვთქვათ, სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირის გარეშე ვერ იქნება სახელმწიფო უნივერსიტეტი მისი ზესახელმწიფოებრივი იდეის მიუხედავად და ვერ იქნებოდა და არ არის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ზე-ნაციონალური (შდრ.ხონელიძე, 2021: 35).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის საუნივერსიტეტო დიპლომატია, რასაც მთელი არსებობის განმავლობაში ახორციელებს უნივერსიტეტი ეროვ-ნულ უმცირესობებთან, მათს კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებთან. დიპლომატია, როგორც მოლაპარაკებების ხელოვნება, პირდაპირი გაგებით თან სდევს საუნივერსიტეტო ცხოვრებას, როგორც საშინაო, ისე საგარეო ურთიერთობების დროს (ხონელიძე, 2021).

სახელმწიფო ენა განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე დადგა საქარ-თველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წლებში. პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ, როგორც თვითონ სახელმწიფო, ისე ეროვნული უმცირესობები. ახალციხეში 1990 წელს შექმნილი უნივერსიტეტი ცოტათი უფროსი

იყო ქვეყნის დამოუკიდებლობაზე. იგი აღმოჩნდა სწორედ მოვლენათა ცენტრში. ქართულენოვანი უმაღლესი განათლება პრაქტიკულად მიუწვ-დომელი იყო არაქართულისკოლადამთავრებულთათვის, რადგან სკოლა არ იძლეოდა შესაბამის დონეს ქართულ ენაში. მაშინ, როდესაც დღევანდელი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი თსუ ახალციხის ფილიალი იყო, მეტი დამოუკიდებელი მოქმედების საშუალება ჰქონდა, რადგან იგი საკითხებს, პრობლემებს ათანხმებდა ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, მის დიდ სამეცნიერო საბჭოსთან და ნაკ-ლები ბიუკრატიული ბარიერი იყო გადასალახი. ფილიალი თვითონ ქმნი-და მოსამზადებელ კურსებს ადგილობრივი სომხური სკოლებისთვის, გამოყოფდა სპეციალურ ადგილებს მისაღები კონტინგენტის ფარგლებში. სომხურსკოლადამთავრებულთათვის ტარდებოდა შეღავათიანი მისაღები გამოცდები, რის საფუძველზეც ივსებოდა წარმოქნილი დისბალანსი. სა-კითხის საკუთარი შესაძლებლობებით მოგვარება ხდებოდა შექმნილი მდგომარეობის ფარგლებში.

კიდევ უფრო მოქნილი გახდა სომხურ მოსახლეობასთან, აბიტუ-რიენტებთან ურთიერთობა, როდესაც გაიხსნა თსუ ჯავახეთის ფილიალი ახალქალაქში. მოსახლეობაში გაჩნდა სურვილი სახელმწიფო ენაზე სწავ-ლისა. ორი წლის განმავლობაში ემზადებოდნენ აბიტურიენტები სპეციალურ კურსებზე, რომ შემდეგ სახელწიფო ენაზე ჩაებარებინათ მისაღები გამოც-დები. საჭირო შეიქმნა უნივერსიტეტში სწავლის დროსაც შექმნილიყო შესაბამისი გარემო სახელმწიფო ენის უკეთ დაუფლებისთვის, ხარისხიანი განათლებისათვის, სახელმწიფო ენის სწავლისა და პროფესიული ტერ-

მინოლოგიის დაუფლებისთვის აუცილებელი გახდა ჩარიცხვის შემდგომ ორი წლის განმავლობაში სპეციალური პროგრამის შემუშავება. ეს იყო მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობდა სამცხე-ჯავახეთში არაქართული მოსახლეობის უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას.

როდესაც საუბარია სპეციალურ მექანიზმებზე, არ შეიძლება არ აღინიშნოს უნივერსიტეტის (მაშინდელი თსუ ჯავახეთის ფილიალის) მიერ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი. იმისთვის, რომ კომფორტული ყოფილიყო ურთიერთობა, დაკმაყოფილებულიყო სახელმწიფოსა და ეთნიკური უმცირესობების ნაციონალური ამბიციები, როდესაც სომხები სწავლოდნენ სახელმწიფო ენას, ქართველებს შეეთავაზათ არჩევით, სურვილით სომხური ენის სწავლა, რამაც სერიოზული საფუძველი შეუქმნა ურთიერთობის გაღრმავებას.

ურთიერთნდობის კიდევ ერთი სერიოზული ფაქტორი იყო ის, რომ ეთნიკურმა უმცირესობამ დაინახა მთავარი - არავითარი დამატებითი გარიგება არ იყო საჭირო ცოდნის გარდა, ამიტომ კიდევ უფრო გაიზარდა უნივერსიტეტისა და სახელმწიფო ენის მიმართ კეთილგანწყობა, ნდობა და პატივისცემა. დრომ დაადასტურა ჩვენი პრინციპული გადაწყვეტილების სისწორე, რომ **სწავლა ყოფილიყო მხოლოდ სახელმწიფო ენაზე. ეს იყო ეროვნული იდეის ერთ-ერთი უმთავრესი წახნაგი უმაღლეს სასწავლებელში.** ახალი რეალობა შექმნა უნივერსიტეტში მიღების ერთიანმა წესმა აბიტურიენტების ჩარიცხვამ ერთიანი ეროვნული გამოცდებით, მოისინჯა სხვადასხვა საშუალება, საბოლოოდ მიჩნეული იქნა საუკეთესოდ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ამოქმედება, რაც დღესაც მიმდინარეობს. შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარი საპილოტე როლი სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ ამ პროგრამაში ითამაშა თსუ ჯავახეთის ფილიალში უკვე აპრობირებულმა 2+4 პროგრამამ.

თსუ ახალციხის ფილიალის გახსნის დღიდანვე სერიოზულ ინტერესს იჩენდნენ ჩვენი უნივერსიტეტის მიმართ საქართველოს დეპორტირებული მოსახლეობის მემკვიდრეები, მესხები. მათი პრობლემა მთელ ჩვენს უახლეს ისტორიას გასდევს, როგორც აქტუალური, ქვეყნისათვის სისხლხორცეულად საინტერესო და როგორც გადაუწყვეტელი. 1993-94 წლებში ფილიალში სწავლით დაინტერესებული ახალგაზრდები, რომლებიც მაშინდელი პოსტსაბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყანაში იყვნენ გაფანტულნი, ცდილობდნენ, ინდივიდუალურად მოეხერხებინათ სწავლა და ესწავლათ ქართული. მესხების პრობლემის გაურკვევლობის და პოზიციის ჩამოუყალიბებლობის გამო თვით ფილიალისთვის გახდა მათი სწავლის საკითხი პრობლემური. ადგილობრივი მოსახლეობა, პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი მათი მესხეთში შემოსვლის წინააღმდეგი იყო. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტმა მოახერხა, რომ 15-მდე დაინტერესებულ ახალგაზრდას ასწავლა ქარული და მისცა განათლების მიღების საშუალება. 2014 წლის შემდეგ მესხთა შთამომავლების ყველაზე დიდმა ჯგუფმა (50 სტუდენტი) უწყვეტი განათლების ცენტრის გავლით ისწავლა ქართული და დაამთავრა უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამები, რამდენიმემ - სამაგისტროც. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის სწორი პოლიტიკური ნაბიჯები,

მიუხედავად იმისა, რომ მესხთა შთამომავლების შემოსვლა ახალციხეში გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, რადგან საწინააღმდეგო განწყობა არსებობდა ნაწილობრივ ქართულ მოსახლეობაში და უფრო სერიოზულად სომხურ მოსახლეობაში, ყველაფერმა სასურველ ფარგლებში ჩაიარა. სამწუხაროდ, გარკვეული მიზეზების გამო, ეს საქმე შეჩერდა.

უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის ქართული მოსახლეობის კატასტროფული შემცირების ფონზე ცდილობს დემოგრაფიული პრობლემის დასმას და გარკვეული პასუხისმგებლობის აღებას, პირველ რიგში საკითხის თეორიულ სფეროში განხილვას და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე გარკვეული დასკვნების გამოტანას. საამისოდ სამაგისტრო და სადოქტორო თემატიკაში უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია ისტორიული და ლინგვისტური, დიალექტოლოგიური პრობლემატიკა, ეროვნებათშორისი ურთიერთობანი. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობა, მისი ზეგავლენა მხარის მდგრად განვითარებაზე, უნივერსიტეტი სასიკეთო გავლენას ახდენს რეგიონის კულტურულ ცხოვრებაზე. მისი ზეგავლენით იცვლება საზოგადოებრივი მენტალობა განათლების, ტოლერანტობის და ურთიერთპატივისცემის მიმართულებით. უნივერსიტეტის ჩართულობა რეგიონის ცხოვრებაში ვლინდება ყოველდღიური ფუნქციონირების პროცესში, რეგიონის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, მათი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში ჩართვის, სასწავლო პრაქტიკის ორგანიზების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების და სხვადასხვა პროექტის განხორციელების მიზნით. როგორც საერთოდ ქვეყანაში, სამხრეთ საქართველოშიც მაღალია მიგრაციის მაჩვენებელი.

დაარსების დღიდანვე უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტული იყო სამეცნიერო საქმიანობა. პირველი რესპუბლიკური კონფერენცია უნივერსიტეტში 1992 წელს ჩატარდა და აქედან მოყოლებული რესპუბლიკური, საერთაშორისო კონფერენციები და სიმპოზიუმები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ტრადიციად იქცა. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თურქ მეცნიერებთან ერთად ჩატარებული არაერთი ერთობლივი კონფერენცია და ორენოვანი თურქულ-ქართული სამეცნიერო კრებულები.

სამეცნიერო ტრადიციის გაგრძელება იყო სემინარი ,,საენათმეცნიერო საუბრები", რომელიც შეიქმნა 2007 წელს და რომლის ბაზაზეც დაარსდა სამეცნიერო „გულანი", რომლის 24 ნომერია დღეისათვის გამოსული და იგი არის საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო გამოცემა. მე-20 საუკუნეში არსებული მკაცრი ცენტრალიზაცია განსაზღვრავდა ცხოვრების ყველა სფეროს ყოფნა-არყოფნის საკითხს. თბილისში თავი მოიყარა ეკონომიკური შესაძლებლობების დიდმა ნაწილმა, უნივერსიტეტმა, ინსტიტუტებმა და ა.შ. რეგიონები მისდევდა თბილისის ცხოვრებას. საქართველოს სხვა კუთხეები შედარებით დაწინაურდა ამ მხრივაც. ქართლში, კახეთში, დასავლეთ საქართველოში ინსტიტუტები განაპირობებდნენ განათლების გარდა ლიტერატურულ ცხოვრებასაც. სამხრეთ საქართველოში მართალია არსებობდა მწერალთა კავშირის განყოფილება თუ ფილიალი, მაგრამ იგი სერიოზულ ლიტერატურულ პროდუქციას ვერ ქმნიდა.

ასევე სერიოზული როლი შეასრულა სამხრეთ საქართველოს ცხოვრებაში 2016 წლიდან გამომავალმა სამეცნიერო და ლიტერატურულმა ჟურნალმა „არავი“. პირველი, რაც გაკეთდა ფილიალში ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლება და ლიტერატურული ტრადიციის შექმნა იყო. ლიტერატურასა და პროგრესზე საუბრისას სამხრეთ საქართველოში სტიმულისა და იმედის მომცემი იყო დედა უნივერსიტეტის ლიტერატურული ტრადიცია. ახალციხის ფილიალი აგრძელებდა თბილისის არა მხოლოდ სამეცნიერო ტრადიციებს, არამედ ლიტერატურულსაც. უნივერსიტეტმა ჩაუსახა იმედი მესხეთს, რომ მოვიდოდა სერიოზული ლიტერატურა, აღორძინდებოდა უძველესი ლიტერატურული სკოლები თუ არა, გაწყვეტილი ძაფი მაინც გამთელდებოდა. დღეისათვის გამოსულია „არავის“ 28 ნომერი. მასში იბეჭდებიან არა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის ავტორები. ის, ფაქტობრივად, არის საქართველოს მასშტაბის გამოცემა.

„არავი“ მხარში ამოუდგა უკვე საკმაოდ პოპულარულ გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთს“, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ასევე უნივერსიტეტია. სამეცნიეროს გარდა უნივერსიტეტმა იკისრა თანამედროვე ლიტერატურული საქმიანობის სათავეში ჩადგომა. უნივერსიტეტის პროფესურა წამყვან როლს ასრულებს სალიტერატურო კრიტიკისა და პროდუქციის შექმნაში.

ვიდრე უნივერსიტეტში შეიქმნებოდა ჟურნალისტიკის სპეციალობა, უკვე 1990 წელს გამოვიდა პირველი დამოუკიდებელი გაზეთი „მესხეთი“, რითაც საფუძველი ჩაეყარა არაპარტიულ, არარაიონულ, თავისუფალ პრესას სამხრეთ საქართველოში. 90-იან წლებში გაზეთების გამოცემის ბუმია. ჩვენ შემდეგ ბევრი გაზეთი გამოვიდა როგორც რეგიონში, ისე საქართველოში საერთოდ, მაგრამ ბევრმა ვერ გაუძლო დროის გამოცდას და დაიხურა.

არც ის არის შემთხვევით, რომ გაზეთს „მესხეთი“ დაერქვა და მესხეთის როლზე, მის ისტორიულ მისიაზე ხდებოდა ხშირად აპელირება. 1990 წელს გამოსული „მესხეთი“ დღევანდლამდე ასრულებს თავის მისიას „მესხეთის უნივერსიტეტის“ სახელით. იგი არის უნივერსიტეტის უპირველესი მემატიანე. საზოგადოებრივ-კულტურულ და ლიტერატურული აღორძინება უნივერსიტეტის ეროვნული მისიის კიდევ ერთი მხარეა.

ცალკე გამოსაყოფია უნივერსიტეტის დამოკიდებულება სამცხე-ჯავახეთში არსებული კონფესიების მიმართ. საზოგადოებიასთან ურთიერთობაში კონფესიათა სიმრავლე მთელი სიმდიდრეა. მესხეთში დღეს მართლმადიდებლობასთან ერთად არის კათოლიკობა, გრიგორიანობა და მუსლიმობა. ეს, რაც შეეხება ფუნდამენტურ რელიგიებს. ამასთან ერთად საკმაოდ პოპულარულია სხვადასხვა სექტა. ბუნებრივია, მათთან უნივერსიტეტს აქვს ტოლერანტული ურთიერთობა. ხშირად ოთხივე რელიგიის წარმომადგენელი სტუდენტები სხედან ერთ ჯგუფში, რაც საუკეთესო საშუალებაა რელიგიური თემის გაშლისთვის. ჯერ კიდევ 1990 წელს აკურთხა უნივერსიტეტი მეუფე ანანიამ, როდესაც იგი განაგებდა ეპარქიას. შემდეგ იყო მეუფე სერგი. ურთიერთანამშრომლობის, საკუთარ ქვეყანაზე ზრუნვის მაგალითს იძლევა უნივერსიტეტისა და ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქია. მიტროპოლიტი თეოდორე არის უნივერსიტეტის

საპატიო დოქტორი. შეიქმნა გრიგოლ ხანძთელის საზოგადოება, რომელმაც გარკვეული როლი ითამაშა საერო და სასულიერო პირთა ურთიერთობაში. უნივერსიტეტი ყოველთვის მხარში უდგას დედაეკლესიას, ეს არის ვრცელი საკითხი, რომელიც ცალკე კვლევის საგანია.

დასკვნა

ამგვარად, უნივერსიტეტი თავის ეროვნულ მისიას ასრულებს დღიდან ჩამოყალიბებისა, რადგან სწავლება მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე. უმაღლესი დაწესებულება დიდ როლს თამაშობს სამცხე-ჯავახეთის განვითარების საქმეში. აქვს გამოკვეთილი დამოკიდებულება რეგიონისა და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციებთან, რომელიც სასიკეთოდ ადგება ჩვენს ქვეყანას. შეიქმნა ადგილობრივი საუნივერსიტეტო კადრები, პროფესურა, რომელიც ძირითადად სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებით არის წარმოდგენილი. თანამედროვე საუნივერსიტეტო ცხოვრებაში სხვაგვარად დგას კადრების პრობლემა. ინტერნაციონალიზაციის ფონზე, თუ ფული აქვს უნივერსიტეტსა და ქვეყანას, ნებისმიერი ქვეყნიდან მოიწვევს პირველხარისხოვან პროფესორს, ან ჩართავს დისტანციურად, მაგრამ პროფესორთა ძირითადი ნაწილი უნდა იყოს ადგილობრივი. ამას მოითხოვს აფილირების წესიც. სამცხე-ჯავახეთს ჰყავს ეს ძირითადი კადრი და, რაც მთავარია, მიმდინარეობს თაობათა ცვლა. ყოველივე ეს კი ემსახურება მესხეთის, ჩვენი ქვეყნის გაძლიერებას, რადგან დღესაც აქტუალურია საკითხი მესხეთისა და მისი როლისა, ამიტომ ერთხელ კიდევ გავიმეორებთ 1992 წელს ნათქვამს: „დღეს არ არსებობს დილემა, არსებობს ერთი გზა. უნდა გაძლიერდეს მესხეთი, მისი მიჩქმალული როლი უნდა წამოიწიოს, განისაზღვროს არა ზოგადად, არამედ - კონკრეტულად, მეცნიერულ საფუძვლებზე შედგეს განვითარების კონკრეტული პროგრამა და გაკეთდეს საქმე“ (ბერიძე, 2014: 22).

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

Laila Nordstrand Berg and Kristin Lofthus Hope. (2022). Keeping Talents in the Region? Educational Internships and Their Impact on Regional Development. In Edited by Tatiana Iakovleva, *Universities and Regional Engagement From the Exceptional to the Everyday.* Phawat Topaisan.

beridze, m. (1991). erti tseli gavida. gazeti „meskheti“. n5. tsu meskhetis piliali. (ბერიძე, მ. (1991). ერთი წელი გავიდა. *გაზეთი „მესხეთი“.* n5. ახალციხე : თსუ მესხეთის ფილიალი.)

beridze, m. (2014). filialis momavlistvis. *in sikvarulis universiteti.* (ბერიძე, მ. (2014). ფილიალის მომავლისთვის. *სიყვარულის უნივერსიტეტი*).

Khonelidze, Z. (2021). *Mshvidobis Qartuli Paradigma*. Tbilisi. (ხონელიძე, ზ. (2021). *მშვიდობის ქართული პარადიგმა*. თბილისი.)

merchule giorgi. (1982). grigol khandztelis tskhovreba. in *qartuli proza*, tsigni i. tbilisi: sabchota saqartvelo. (მერჩულე გიორგი. (1982). გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. *ქართული პროზა*, წიგნი I. თბილისი: საბჭოთა საქართველო.)

metreveli, r. (1993). *tadzari.* tbilisi: tbilisis universiettis gamomcemloba. (მეტრეველი, რ. (1993). *ტაძარი.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.)

Tripla M. Sinozich T. Lauton Smithc. H. (2015). Conceptual Models and Policy Institutions in the UK, Sweden and Austria. *europian planning studies*, 325.

Bilbokaitė R. Bilbokaitė-Skiauterienė I. (2018). *The Impact of Higher Education on the Region.*(p. 12).

Thaman, K. H. (2008). The Role of higher education in regional development in Pacific Island countries with specific reference to the University of the South Pacific. *Competition, Cooperation and Change in the Academic Profession: Shaping Higher Education›s Contribution to Knowledge and Research. Hangzhou.China, 15.*